<u>პროექტი</u>

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო

განკარგულება №

---ივნისი 2018 წელი

ქ.თბილისში, დიდუბის რაიონში, აკაკი ბაქრაძის ქუჩასთან მდებარე უსახელო ქუჩისთვის და მასთან არსებული შესახვევისთვის ბიოლოგიის მეცნიერებათა დოქტორის, პროფესორ გიგა მანჯავიძის სახელის მინიჭების შესახებ

1. საქართველოს ორგანული კანონის - "ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი" 68-ე მუხლის პირველი პუნქტის „გ" ქვეპუნქტის, „მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში მდებარე გეოგრაფიული ობიექტების სახელდების წესის დამტკიცების შესახებ", საქართველოს მთავრობის 2015 წლის 1 ივნისის №239 დადგენილებისა და „ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში მდებარე გეოგრაფიული ობიექტების სახელდების წესის დამტკიცების შესახებ", ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 16 ივნისის №14-59 დადგენილების თანახმად, ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულომ დაადგინა:

ა) დიდუბის რაიონში, აკაკი ბაქრაძის ქუჩასთან მდებარე უსახელო ქუჩას და მასთან არსებულ შესახვევს მიენიჭოს გიგა მანჯავიძის სახელი, თანდართული რუკის თანახმად.

ბ) ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერიამ, ოთხი თვის ვადაში, უზრუნველყოს ამ განკარგულების შესასრულებლად საჭირო ღონისძიებების განხორციელება.

2. განკარგულება, ერთი თვის ვადაში, შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე–12 კმ., №6).

საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძე

N
1:4,000
X:480,973.982
Y:4,622,660.420
გიგა მაწყავიძის ქ.
X:481,305.702
Y:4,622,335.243
I შეს
X:481,243.649
Y:4,622,288.083
X:481,286.071
Y:4,622,257.847

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

სახელდებისა და სიმბოლიკის კომისიის თავმჯდომარეს

ქალბატონ თინათინ ნიბლოშვილს

ქალბატონო თინათინ, მოგახსენებთ, რომ გიგა (გრიგოლ) მანჯავიძე გახლდათ თვალსაჩინო ქართველი მეცნიერი, 40-ზე მეტი სამეცნიერო ნაშრომის ავტორი, სელექციონერი და ნოვატორ-გამომგონებელი. მის მიერ დანერგილმა მეთოდებმა დიდი სარგებელი მოუტანა ქვეყანას.

მოგმართავთ თხოვნით, რომ მისი სახელი შესაბამისი ფორმით იქნას უკვდავყოფილი.

პატივისცემით,

ელიზბარ კაველიძე აკადემიკოსი

ვახტანგ ხუციშვილი, პროფესორი, „საქართველოს ეროვნული აკადემიის" აკადემიკოსი

ეფიმერი ნვენკრა აკადემიკოსი

ციონგლის ჩხეიძე მეცნიერი

ბოსა გლუხოვი მეცნიერი

ირაკლი დავლიანიძე ფილოსოფოსი

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

სახელდებისა და სიმბოლიკის კომისიის თავმჯდომარეს

ქალბატონ თინათინ ნიბლოშვილს

მოქალაქე იოსებ მანჯავიძის
მცხ. ალგეთის ქ N6
ტ. 591 02-00-01
პ/ნ 01024017574

გ ა ნ ც ხ ა დ ე ბ ა

გიგა (გრიგოლ) მანჯავიძე დაიბადა ხარაგაულის სოფელ ლაშეში 1930 წელს. ბიოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის მებაღეობა-მევენახეობის კათედრის გამგე, 60-მდე სამეცნიერო ნაშრომის ავტორი და სელექციონერი-გამომგონებელი. მის მიერ შემუშავებული მეთოდების პრაქტიკაში დანერგვამ მნიშვნელოვანი ეკონომიკური უკუგება მისცა სახელმწიფოს.

მოგმართავთ თხოვნით, დიღმის მასივში მდებარე ერთ-ერთ უსახელო ქუჩას მიანიჭოთ მამაჩემის გიგა (გრიგოლ) მანჯავიძის სახელი.

განმცხადებლები: იოსებ მანჯავიძე

ზურაბ მანჯავიძე